რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი და მისი რეალიზების პრობლემები საქართველოში

სალომე გეგელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლისსამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამართლის სკოლა(სისხლის სამართალი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ ვარძელაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე გეგელაშვილი

2023 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სასჯელის მიზნები და მათთან შედარებით რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზნის მნიშვნელობა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემისთვის. სასჯელი არის სახელმწიფოს პასუხი დანაშაულზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს სახელმწიფოს იძულებით ღონისძიებას მსჯავრდებული პირების მიმართ, სასჯელის მიზანი არ არის ინდივიდის დასჯა და შურისძიება, არამედ მისი უკეთეს ადამიანად ქცევა რესოციალიზაციის გზით. ნაშრომი სწორედ რესოციალიზაციის მნიშვნელობის კიდევ ერთხელ წარმოჩენას და მისი განხორციელების სირთულეებსა და პრობლემების გაანალიზებას ემსახურება.

სისხლის სამართლის ნორმების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა სასჯელის მიზნები და სახეები. იგი გახდა მეტად ლმობიერი და ლიბერალური, რადგან თანაბრად იყოს დაცული, როგორც დაზარალებულის, ასევე მსჯავრდებულის უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი სჩადის დანაშაულს, იგი არ უნდა იქნას სამუდამოდ გარიყული საზოგადოებისგან. ყველა ადამიანს აქვს უფლება გამოისყიდოს თავის შეცდომები და დაუბრუნდეს საზოგადოებას.

ქართული სისხლის სამართალი იცნობს სასჯელის სამ მიზანს, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლშია ჩამოთვლილი. ესენია: ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, სამართლიანობის აღდგენა და დამნაშავის რესოციალიზაცია. მისი მიზანი არ არის მსჯავრდებულისთვის ფიზიკური ზიანის მიყენება, ტანჯვა, ღირსების შელახვა ან დამცირება. კვლევა ემსახურებოდა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით იმის გაანალიზება, თუ რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფს ქართული სასჯელაღსრულებითი სისტემა მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზნების განხორციელებას.

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულმა სხვადასხვა კვლევის მეთოდმა გამოვლინა სისტემური ხარვეზი. მართალია ქართული კანონმდებლობა თეორიულად ჰარმონიზაციაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან, მაგრამ რეალობა აჩვენებს, რომ პენიტენციური დაწესებულებები ვერ

უზრუნველყოფენ მსჯავრებულისთვის რესოციალიზააციის მიზნის განორციელებას, რადგან დიდია დანაშაულის ხელმეორედ ჩადენისა და საზოგადოებისგან ნასამართლევი პირების მიუღებლობის ფაქტები.

საკვანძო სიტყვები

რესოციალიზაცია

რეაბილიტაცია

მართლმსაჯულება

სასჯელის მიზნები

სასჯელი

სასჯელაღსრულებითი დაწესებულება

Abstract

The present master's thesis serves to study the goals of penalty and to compare it with re-socialization, as the main goal of the penalty for the system of justice of Georgia. Sentence is a compulsory respond about the criminal action by the government. Despite of compulsory nature, the main goal of the sentence is not to punish or to revenge on offender. The sentence serves to create better person from the convicted person. The main reason of this study is to demonstrate the meaning of the re-socialization and to analyze the main problems about realization of this subject.

As the standards of the criminal law were changing, so were the purposes and types of sentence. They became more loyal and liberal, to defend the interest of the both sides- same amount for victim and for offender. Despite of criminal action, they must not be abandoned from the society.

There three main goal of the sentence in Georgian criminal law. According to the article 39 of Georgian Criminal Code. Those are: to restore justice, prevent repeated commission of a crime and re-socialize the offender. The sentence does not stands for physically punish, torture offender or humiliate their dignity. The following thesis is about to find out how effective is the Georgian justice system with regards of re-socialization purpose by using different methods of research.

The following research revealed the collapse of the Criminal Law system. On the one hand, Georgian laws are harmonized with the European standards, but on the other hand the reality shows, that the penitentiary institutions can not provide the re-socialization of the offender. There are still many cases when the offender creates new crime, or the society does not accept them back in their life.

Main Words

Re-socialization

Rehabilitation

Justice

Aims of penalty

Penalty

Penitentiary institutions